თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1955323

ნომერი: AR1314984

თარიღი : 02.06.2015

გაცემის თარიღი : 15.06.2015

გაცნობის თარიღი : 22.06.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შანდორ პეტეფის , N 27 , (ნაკვ. 5/14) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ აბზიანიძე პ/ნ 01024001371
- თბილისი მარშალ გელოვანის გამზ.13. N72

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 02/03/2015 წ. №1758820 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 23.06.2015წ. #AR1314984 განცხადებით მომართა ზურაბ აბზიანიძემ და მამია ჯაშმა და მოითხოვეს სამსახურის 02/03/2015 წ. №1758820 ბრძანებაში

ტექნიკური ხარვეზის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 02/03/2015 წ. №1758820 ბრძანებით, სამსახურმა შეითანხმა ქ. თბილისში, სექტორი (ისანი), შანდორ პეტეფის ქ.N27–ში, (ნაკვ. 5/14)–ში, შპს "ვაზისუბანი 15"–ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.17.10.005.063) მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
დღეისათვის განმცხადებელი ითხოვს დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორებას და სამშენებლო პროექტში გამორჩენილი მე–4 სართულის გეგმის დამატებას.
დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ერთ–ერთი განმცხადებელი მამია ჯაში წარმოადგენს #01.17.10.005.063 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, განცხადების რეგისტრაციის #N 882014492575; თარიღი: 16/09/2014 15:30:49), შპს „ვაზისუბანი 15 “–ის დირექტორს (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განცხადების რეგისტრაციის # B14084580; მომზადების თარიღი: 25/08/2014 17:28:02). მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე–9 მუხლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლება აქვს დირექტორს. შესაბამისად, მამია ჯაში წარმოადგენს უფლებამოსილ პირს, სამსახურის 02/03/2015 წ. №1758820 ბრძანებაში მოითხოვოს ტექნიკური ხარვეზის გასწორება.
სამშენებლო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ასევე დადგინდა, რომ არქიტექტურულ პროექტში გათვალისწინებულია, თუმცა ტექნიკურად გამორჩენილია მე–4 სართულის გეგმა. ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და შეთანხმებულ მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტს დაემატოს მე–4 სართულის გეგმა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს ზურაბ აბზიანიძისა და მამია ჯაშის 23.06.2015წ. #AR1314984 განცხადება;
2. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი 02/03/2015 წ. №1758820 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტში და დაემატოს მე–4 სართულის გეგმა.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 02/03/2015 წ. №1758820 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ, N6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.